



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ასათიანი არჩილ ვლადიმერის ძე



ა. ასათიანი

ასათიანი არჩილ ვლადიმერის ძე (28. IV. 1933, თბილისი, – 29. IV. 2007, იქვე), ფიზიოლოგი. საქართველო. მეცნი. აკად. წ.-კორ. (1979). მედიცინის მეცნი. დოქტორი (1972), პროფესორი (1973). 1956 დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი. 1973–86; 2004–07 იყო ამავე ინსტიტუტის ნორმალური ფიზიოლოგიის კათედრის პროფესორი. 1975–85 იყო თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის პრორექტორი სამედიცინო დარგში, 1987–2004 – კათედრის გამგე. 1985–91 – ინსტიტუტის რექტორი.

ა. შეისწავლიდა ნეიროფიზიოლოგიის და გასტროენტეროლოგიის საკითხებს, კვებითი მოქმედების ნეირო-ჰუმორულ სარეგულაციო მექანიზმებს; თავის ტვინის ღეროს ბადებრივი სტრუქტურების როლს კუჭის სეკრეციული მოქმედების განხორციელებაში; ჰიპოთალამუსის კვების ცენტრების ფუნქციური ორგანიზაციის თავისებურებებს და ნუშისებრი კომპლექსის ბირთვების როლს კვებითი მოქმედების რეგულაციაში; გამოიკვლია აგრეთვე სიმძლავრის ჩამოყალიბების ნეიროჰუმორული მექანიზმები და სხვ.

თბ.: ძალის თავის ტვინის ღეროსა და ქერქის ლიმბური არის ზოგიერთი სტრუქტურის გაღიზიანების გავლენა კუჭის სეკრეციულ მოქმედებაზე, «საქ. სსრ მეცნი. აკად. მოამბე», 1961, ტ. 26, № 4; Роль интерорецепции желудка в механизме насыщения, Труды I всесоюзного симпозиума «Физиологические механизмы голода и насыщения», Труды 1 всесоюзного симпозиума «Физиологические механизмы голода и

насыщения». г. Тбилиси, 25 - 27 сентября 1985 г., Тб., 1987.
